ევროპული სკოლა და ეკოლოგია

გარემოზე ზრუნვა „ევროპული სკოლის“ ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია. იცით, რას ნიშნავს მოსწავლისა და ბუნების სიმბიოტური ურთიერთობა? გარემოს დაცვით კამპანიებში აქტიური მონაწილეობა, ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების ადრეული ასაკიდან შეცნობა, ფორუმებსა და კონფერენციებში მონაწილეობა და ზრუნვა ეკოლოგიურ მდგრადობაზე. ევროპული სკოლის „მწვანე“ ცხოვრება სხვადასხვა აქტივობისა თუ პროექტისგან შედგება.

ES

ცნობიერების ამაღლება...

გარემოს დაცვის თემატიკას დაწყებით კლასებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ქართული პროგრამის პედაგოგი ასმათ ახვლედიანი ამ მიმართულებით რამდენიმე პროექტს ახორციელებს. ერთ-ერთია „ბუნების ქომაგი ადამიანი“. მოსწავლეები ისმენენ ბუნებაზე მზრუნველი ადამიანების ისტორიებს, რომლის შემდეგაც აცნობიერებენ საკუთარ როლს ბუნების დაცვის საქმეში და კონკრეტულ ქმედებებს სახავენ. რა როლი მაქვს ბუნების დაცვის საკითხში? რა გამიკეთებია მის გადასარჩენად ან რის გაკეთებას ვაპირებ? ამ შეკითხვებზე პასუხებს მოსწავლეები წერენ დიდ ფოთლებზე. იდეებით დახუნძლულ ფოთლებს კი კიდებენ ხეზე), რომელსაც სიმბოლური სახელწოდება - „ჩემი როლი ბუნების დაცვის საქმეში“ აქვს.

“ჩემი სახლი“ კიდევ ერთი პროექტია, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები ვიდეოკოლაჟს ეცნობიან: „სახლები გამოქვაბულიდან თანამედროვეობამდე“ . ამის შემდეგ პედაგოგი მათ სთავაზობს იდეას, გახდნენ მშენებლები ან დიზაინერები, გამოიყენონ საკუთარი შესაძლებლობები, ააგონ ბუნებრივი მასალებისგან ეკოლოგიურად სუფთა სახლები. მოსწავლეები ორ ჯგუფს აკომპლექტებენ: ერთი მშენებლების, მეორე კი - დიზაინერების. მაკეტები კეთდება ბუნებრივი მასალებისგან, გასაფორმებლად ხმარობენ მეორეულ, ნარჩენ მასალებს: ღილებს, ნაჭრებს და ა.შ. მესამე პროექტია “გადავარჩინოთ შავი ზღვა“, რომელიც „შავი ზღვის დაცვის სეართაშორისო დღეს“ ეძღვნება. პროექტის ფარგლებში მოსწავლეები ზღვის ბინადრებს ეცნობიან, „შავი ზღვის“ მოსაზღვრე ქვეყნებს სწავლობენ, ადგენენ „შავი ზღვის“ დაბინძურების მიზეზებს, არკვევენ სხვადასხვა ქვეყნის ქმედებებს მის გადასარჩენად და ბოლოს აკეთებენ პრეზენტაციას, სადაც გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებას ეკოლოგიური პრობლემისადმი.

გამწვანება...

„ევროპული სკოლა“ ყვავილების სიჭარბით გამოირჩევა. მცენარეებია ეზოში, დერეფნებში, საკლასო ოთახებში, თუმცა განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ისინი გვხვდება ორანჟერეაში, რომელიც ბიოლოგიის ლაბორატორიას ეკუთვნის. მცენარეებზე დაკვირვებას, მათზე ზრუნვას, გამრავლებას, გადარგვას მოსწავლეები ეკოკლუბის მეცადინეობების ფარგლებში ახდენენ. წელიწადში ერთხელ კლუბი ყვავილების ფესტივალს მართავს. ეს საქველოქმედო გამოფენა-გაყიდვაა, სადაც მოზარდები საკუთარი ხელით გამრავლებულ ქოთნის ყვავილებს საქველმოქმედო მიზნით ყიდიან. გარემოს გამწვანების პროექტი ასევე კურსდამთავრებულების მიერ სკოლის ეზოში ხეების დარგვის პროცესსაც მოიცავს. ამ ტრადიციას „ევროპული სკოლის“ ყველა გამოშვება უერთდება. მათ მიერ დარგული და უკვე წამოზრდილი ხეები არაერთია სკოლის ეზოში. „ევროპული სკოლის“ მოსწავლეები მხოლოდ სკოლის ტერიტორიაზე არ ზრუნავენ, ისინი ქალაქის გამწვანების აქციებშიც მონაწილეობენ. 2017 წლის „დედამიწის დღეს“ მოზარდებმა ათეულობით ხე დიღმის პარკში დარგეს.

ბუნებრივი რესურსების დაზოგვა და ნარჩენების გადამუშავება...

„ევროპულ სკოლის” მოსწავლეები ყოველ წელს ერთვებიან ისტ-ის პედაგოგის დავით ნოზაძის მიერ ინიცირებულ „მწვანე კვირეულში“. მწვანე საფარის მნიშვნელობასა და მისი დაზოგვის აუცილებლობას მოსწავლეები წელს უკვე გაეცნენ. ასევე შეხვდნენ პირველი ქართული ელექტრონული წიგნების ავტორს სანდრო ასათიანს. „მწვანე კვირეულის“ ფარგლებში ყველა ასაკობრივი ჯგუფი აგროვებს მაკულატურას, რასაც ერთგვარი შეჯიბრის სახე აქვს. გამარჯვებული კლასი ქაღალდის გადამამუშავებელ საამქროსა და წიგნის მუზეუმს სტუმრობს.

გარემოს დასუფთავება, ეკოსისტემების დაცვა

„ევროპული სკოლის“ ეკოკლუბის წევრები თბილისის ზოოპარკთან ერთად ლისის ტბის ტერიტორიის ქვეწარმავლების დაცვის პროექტში არიან ჩართულნი. პროექტი ქვეწარმავლების, როგორც ეკოსისტემის ერთ-ერთი რგოლის, მნიშვნელობის შესახებ ცნობირების ამაღლებასა და იმ საფრთხეების გაანალიზებას ემსახურება, რომელიც შეიძლება მათ განადგურებას მოჰყვეს. „ევროპული სკოლის“ მოსწავლეები ქიმიის პედაგოგის სოფო ფაცაციას ხელმძღვანელობით ყოველწლიურად ახორციელებენ პროექტს წყალზე. ისინი იკვლევენ თბილისში არსებული მდინარეებისა და ტბების წყლის სისუფთავეს. ადგილზე იღებენ წყლის ნიმუშებს და ქიმიური ექსპერიმენტების საშუალებით ადგენენ მასში მავნე ნივთირებების შემცველობას. ამასთანავე ასუფთავებენ სხვადასხვა ტერიტორიას და ამ ფორმით ეხმარებიან წყლის ეკოსისტემის ბინადართ.

მოსწავლეთა პერსონალური პროექტები...

გარემოსდაცვითი აქტივობების გარდა, ევროპული სკოლის მოსწავლეები ინდივიდუალურ პროექტებსაც ახორციელებენ. ანა ბზიკაძე „მწვანე პოლიტიკის“ შემუშავებაზე მუშაობს. მას სურს, „ევროპული სკოლა“ იყოს „მწვანე“ სკოლა და აპირებს, უკვე შემუშავებული პოლიტიკა ადმინისტრაციასთან შეათანხმოს. ლიზა ლორიას „მწვანე კაფის“ გაკეთება სურს, სადაც დიზაინსა და მასალებში სწორ ეკოლოგიურ აქცენტებს გამოიყენებს. გიორგი დარჩიძე კი ე.წ. მდგრადი სკოლის გეგმის შემუშავებით არის დაკავებული, სწავლობს ეკოლოგიურად მდგრად მასალებს, არჩევს ლოკაციას და აპირებს, მომავალში გეგმა განათლების სამინისტროს შესთავაზოს.

SIZE 10

ES